# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №87 /37

02 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა მისი დირექტორის ლია როსტიაშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შპს „ედესი ჯგუფი " დირექტორის დიმიტრი ქვაკვესკირის სახით (შემდგომში მიმწოდებელი), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სამეურნეო საქონელი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ #1-ში (CPV-30100000)

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღე.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 1090.54 (ერთი ათას ოთხმოცდაათი ლარი და 54 თეთრი) ლარს.

ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა უფლებამოსილ პირისწარმომადგენს: დირექტორი ლია როსტიაშვილი

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.

5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

### 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს დირექტორი ლია როსტიაშვილი

### 7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

### 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

8.4 მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს

8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 10.ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

11.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

ხსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა

ს/კ 238146252

მის: საგარეჯო,სოფელი დიდი ჩაილური

დირექტორი

როსტიაშვილი ლია

ტელ:

**მიმწოდებელი**

შპს „ედემი ჯგუფი"

ს/კ 203868635

პროკრედიტ ბანკი

ბ/ნ MIBGGE22

ა/ა GE66PC0133600100062479

მის: ქობულეთი, აკაკი ბელიაშვილის ქ.157

ტელ: 2 24 05 05 (599 3005 05

დირექტორი

ვიქტორი კვაჭანტირაძე

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქობილისი 02 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა დირექტორის ლია როსტიაშვილის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „ედესი ჯგუფი "-ს დირექტორი დიმიტრი კეკეჩკორი ვადასტურებთ, რომ სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლას სამეურნეო საქონელი თანხით 1090,54 ლარი ნამდვილად მიეწოდა, რასაც ხელს ვაწერთ:

ჩაიბარა:

სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

სოფელ დიდი ჩაილურის საჯარო სკოლა

დირექტორი როსტიაშვილი ლია

ჩააბარა:

შ.პ.ს „ედესი ჯგუფი"

დირექტორი დ.კეკეჩკორი